თამაში — ბრწყინვალე, გამარჯვება — დამსახურებული

რომი, 7 ოქტომბერი. „გადამწყვეტ შეჯახებაში იუგოსლავიის გუნდმა მხოლოდ ოდნავ შეძლო საბჭოთა კოლოსის შერყევა“, — ასე იწყებს ევროპის კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის ფინალური მატჩის რეპორტაჟს გაზეთი „კორიერე დელო სპორტი“. ამ რეპორტაჟის ავტორი ანდრეა რელი წერს, რომ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრებთა თამაში დიდებული, ბრწყინვალე იყო. მატჩის გმირად იგი პაულაუსკასს ასახელებს. იუგოსლაველთა გიგანტი ჩოსიჩი ამჯერად მეტოქეთა მიერ დამხობილ იქნა.

საბჭოთა გუნდის ფარის წინ მუდამ აღიმართებოდა კედელი, რომლის ქონგურებიც ანდრეევის ხელები იყო, ხოლო კოშკები — ვოლნოვი, პოლივოდა და ალექსანდრე ბელოვი. სსრ კავშირის ნაკრებმა დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. ამ წარმატებას იგი პაულაუსკასის შემდეგ თანაბრად უნდა უმადლოდეს თავის ყველა დანარჩენ მოთამაშეს, სერგეი ბელოვით დაწყებული (ეს სპორტსმენი ამერიკელი კალათბურთელების ტექნიკას ფლობს) და ვიტალი ზასტუხოვით დამთავრებული...

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსი გოლიათი ანდრეევი უწინდებურად ნელი აღარ არის. ახლა იგი ბურთებს საუცხოო ნახტომით ათავსებს მეტოქის კალათში, თავის ფარქვეშ კი კარგად აქარწყლებს მოწინააღმდეგის იერიშებს. საბჭოთა გუნდში გამოჩნდა შესანიშნავი მოთამაშე, რაც შეიძლება მივულოცოთ ნაკრების მწვრთნელს.

— კიდევ ერთხელ, — წერს ანდრეა რელი, — ჩვენ ქედი უნდა მოვიხაროთ საბჭოთა კავშირის ნაკრების წინაშე. ეს ჭეშმარიტად დიდი გუნდია, რომელიც სავსებით დამსახურებულად ავიდა საპატიო კვარცხლბეკის იმ საფეხურზე, სადაც გამარჯვებულები დგანან. ავტორი გვახსენებს, რომ 1955 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ „ვერც ერთმა ევროპულმა გუნდმა ვერ შეძლო საბჭოთა კალათბურთელებისთვის სანუკვარი კვერთხის წართმევა“.

სურათებზე: მარცხნივ — სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრების კაპიტანი მ. პაულაუსკასი თასით ხელში; მარჯვნივ — სსრ კავშირისა და იუგოსლავიის გუნდების ფინალური მატჩის მომენტი.

ტელეფოტო ვ. უნ და-სინისა (საქდესა).

საქპრესი ფოტოქრონიკა

საბჭოთა რაპირისტები — მსოფლიოში უძლიერესნი

ჰავანა, 7 ოქტომბერი. საბჭოთა რაპირისტი ვაჟების გუნდი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ფინალში მან ანგარიშით 9:1 დაამარცხა პოლონეთის წარმომადგენლები.

III ადგილი დაიკავა რუმინეთის ნაკრებმა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 197 (3936)

8 ოქტომბერი. 1969 წ. ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჩეხოსლოვაკიელთა მონაწილეობით...

თბილისის „დინამოს“ კორტებზე

სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელთა მონაწილეობით თბილისში, „დინამოს“ კორტებზე, მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი. ერთეულთა თანრიგში ასპარეზობს 14 ქალი და 14 ვაჟი.

ქალთა ერთეულების შეჯიბრების პირველ წრეში (ე. ი. მერვედფინალში) თავისუფალი იყვნენ კივი და ჩეხოსლოვაკიელი პიკარიოვა. თუხარელი შეხვდა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელს კალაშევას. პირველი პარტია თბილისელმა მძიმე ბრძოლაში მოიგო (13:11), მეორე კი იოლად—6:2. აბჟანდაძემ დაამარცხა ჩხაიძე (6:0, 6:4), ვლაკოვამ (ჩეხოსლოვაკია) — მგალობლიშვილი (6:3, 2:6, 6:1), ჩუვირინამ — კაკულია (6:2, 6:1), ფარსადანოვამ — ჩეხოსლოვაკიელი შამანოვა (6:1, 2:6, 6:4), კრიუჩკოვამ — ბერიაშვილი (6:2, 6:0).

კივი მეოთხედფინალშიც თავისუფალი იყო, ვინაიდან მისი მეტოქე თუხარელი საპატიო მიზეზით სათამაშოდ ვერ გამოცხადდა. ამგვარად, კივი ნახევარფინალში უბრძოლველად მოხვდა. აქ იგი შეხვდება აბჟანდაძეს, რომელმაც მეოთხედფინალში დაამარცხა ვლაკოვა (6:4, 7:5). ნახევარფინალში გავიდნენ, აგრეთვე, ჩუვირინა (დაამარცხა ფარსადანოვა—6:4, 6:1) და კრიუჩკოვა (დაამარცხა პიკარიოვა — 2:6, 6:1, 6:3).

ვაჟთა ერთეულების მერვედფინალური შეხვედრების შედეგები ასეთია (ამ ეტაპზე თავისუფალი იყვნენ ჩეხოსლოვაკიელი ზედნიკი და თბილისელი კაკულია): პერეგუდოვი — ჭავჭანიძე 6:1, 6:4, გოგლიძე — შევჩიკი (ჩეხოსლოვაკია) 6:1, 3:6, 6:4, გუსევი — ერანოსიანი 6:2, 6:3, გჟიბეცი (ჩეხოსლოვაკია) — პ. აბაშკინი 6:4, 6:2, ახალაძე — ბოკერია 6:2, 6:2, შულცი (ჩეხოსლოვაკია) — სენჩუროვი 6:2, 6:2. მეოთხედფინალში ზედნიკმა დაამარცხა პერეგუდოვი (6:2, 7:5), გოგლიძემ — გუსევი (6:1, 6:1), ახალაძემ — გჟიბეცი (2:6, 8:6, 6:2), კაკულიამ — შულცი (6:3, 6:1).

ჩოგბურთელთა ასპარეზობა გრძელდება.

ვ. ირინაული.

მხიარული ფანჯრით



— კარგად იყავით! ჩვენ სათევზაოდ მივდივართ...

ნახ. სპორტის ოსტატ ა. სკოტარენკოსი.

„კოლმეურნის“ მსროლელთა წარმატება

მოსკოვის მახლობლად, მიტიშჩის სასროლეთზე წლეულს პირველად ჩატარდა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირადგუნდური პირველობა ტყვიის სროლაში. ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები ამ ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდნენ.

საქართველოს გუნდის წევრმა ა. შამეკომ მცირეკალიბრიანი შაშხანით 50 მეტრზე წოლილა სროლაში 600 შესაძლებლიდან 593 ქულა მოაგროვა. 39 მონაწილეში მხოლოდ მან შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი და ჩემპიონობაც მოიპოვა. ამავე დისტანციაზე მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში 11 საპრიზო ადგილი დაიკავა გ. კეჩხუაშვილმა — 535 ქულა.

კარგად იასპარეზეს ქალებმაც. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 25 მეტრზე სროლაში „კოლმეურნის“ გუნდმა 1624 ქულა მოაგროვა და ჩემპიონობა დაისაკუთრა.

პირველობა გაინაღდეს მცირეკალიბრიანი შაშხანით 50 მეტრზე მსროლელებმაც. პირველთანრიგოსანმა ა. შატიკოვამ (549 ქულა) 2 ქულა წააგო ჩემპიონთან — ესტონელ ხ. რასსთან და ვერცხლის მედალი მიიღო.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: **ვაჟები.** 1. ესტონეთი — 10211 ქულა, 2. რსფსრ — 10144, 3. საქართველო — 9913; **ქალები.** 1. ესტონეთი — 6701, 2. საქართველო — 6542, 3. მოლდავეთი — 6501.

საერთო გუნდური ჩათვლა. 1. ესტონეთი — 16918, 2. რსფსრ — 16617, 3. საქართველო — 16455.

თ. გაჩეჩილაძე.

გაიცანით — ჩემპიონები!

ტალინი, 6 ოქტომბერი. იუნიორ ფრენბურთელთა შორის ევროპის ჩემპიონთა ოქროს მედლები მიიღეს მოსკოველებმა: ა. ნაზაროვმა, ვ. ნარუბინმა, პ. რომანოვმა, ა. ტიხონოვმა, ვ. ულანოვმა, ვ. ჩერნიშოვმა, კიეველებმა ი. შირიაევმა და ე. ომელიანენკომ, უ. ტიიტმა (ტალინი), ო. ზაპოროჟეცმა (როსტოვი), ნ. რაგოზინმა (ალმაათა) და ვ. იმკოვმა (ვორონეჟი).

სამი წლის წინ ჩამოყალიბებული ნაკრები (სხვადასხვა ქალაქისა და რესპუბლიკის წარმომადგენლები ერთმანეთს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე შეხვდნენ) ახლა კარგი, ჰარმონიული ანსამბლია. გუნდი თამაშობს მწვავე კომბინაციურ, დინამიკურ სტილში.

ყველაზე დიდი საშუალო სიმაღლე ამ ჩემპიონატში კარგი საწინდარი იყო მძლავრი თავდასხმისთვის. მოსკოველმა რომანოვმა სამართლიანად მოიპოვა მრისხანე თავდამსხმელის სახელი. მისი მძლავრი დარტყმა ხშირად ყველაზე მონოლითურ ბლოკსაც კი არღვევდა.

ეშმაკური ხერხებით გამოირჩეოდა ნაკრების ყველაზე გამოცდილი წევრი, გუნდის კაპიტანი ზაპოროჟეცი.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა ულანოვმა. მისი თამაში გონივრულობისა და ემოციურობის შერწყმა იყო. ულანოვი მუდამ ადვილად პოულობს საინტერესო ტაქტიკურ გზას. ამასთან, იგი ნამდვილი აკრობატია ფრენბურთის მოედანზე. მისი ყოველი ნახტომი მაყურებელთა აღტაცებას იწვევდა, თავისი გარეგნობითაც და თამაშის მანერითაც ულანოვი ძალიან გვაგონებს სახელგანთქმულ გ. მონძოლევსკის.

ინტელექტუალური თამაშით გამოირჩევიან ულანოვის ამხანაგებიც. გუნდის თითქმის ყველა წევრი სტუდენტია და თორმეტივე დიდ ქებას იმსახურებს, რაც მათი მომავალი წარმატებების საწინდარი უნდა იყოს.

რა შთაბეჭდილება დატოვა ჩემპიონატმა საერთოდ? საქდესის კორესპონდენტს ამ შეკითხვაზე პასუხს აძლევს სსრ კავშირის პირველი ნაკრების უფროსი მწვრთნელი ი. კლეშჩევი, რომელიც რიგისა და ტალინის ტურნირებს დაესწრო.

— ევროპის ახალგაზრდულმა ფრენბურთმა უაღრესად სასიამოვნო და სასიხარულო შთაბეჭდილება დატოვა. შეხვედრები გამოირჩეოდა კომბინაციურობითა და დინამიურობით. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ფრენბურთის საბჭოთა სკოლის გამოცდილებას კვლავ წარმატებით იყენებენ სხვა წამყვანი გუნდები.

— მოთამაშეებიდან ვინ მიიქცია თქვენი ყურადღება?

—საბჭოთა იუნიორებს შორის ვხედავ, სულ ცოტა, ხუთ მოთამაშეს, რომელთაც პირველი ნაკრების ვეტერანთა შეცვლა შეუძლიათ. ესენი არიან: ზაპოროჟეცი, რომანოვი, ნარუბინი, რაგოზინი და ულანოვი. ნიჭიერი ფრენბურთელები არიან სხვა გუნდებშიც. მაგალითად დავასახელოთ ზლატანოვი, ივანოვი, ტრენევი, ცანოვი (ყველა — ბულგარეთი), სტანჩო და ტომაში (ორივე — ჩეხოსლოვაკია), ჰაგენი (გდრ), ვებელი (პოლონეთი), ლიკიჩი (იუგოსლავია), თროსი (რუმინეთი).

საბოლოო ადგილები: 1. სსრ კავშირი — 10 ქულა; 2. ბულგარეთი — 9; 3. რუმინეთი — 7; 4. იტალია — 7; 5. ჩეხოსლოვაკია — 6; 6. გდრ — 6.

ბ. კალაბაშკინი,
(საქდესის სპეც. კორ.).

მედალი დაბადების დღეს

ბრონო, 7 ოქტომბერი. სოფლის ველომრბოლელთა საკავშირო შეჯიბრებამ რუსეთის ფედერაციის გუნდს მოუტანა გამარჯვება. II ადგილზე არიან უკრაინის, ხოლო III— ბელორუსიის წარმომადგენლები.

რბოლების ერთ-ერთი დღე განსაკუთრებით სასიხარულო გამოდგა ახალგაზრდა უკრაინელი ველოსიპედისტის ოლეგ ქურბასთვის. დილით ამხანაგებმა მას დაბადების დღეს მიულოცეს, საღამოს კი ქურბას 25 კილომეტრზე რბოლაში გამარჯვებისთვის ოქროს მედალი გადაეცა. ამავე დისტანციაზე გუნდურ რბოლაში ისევ უკრაინის წარმომადგენელი იყო საუკეთესო — იუნიორი პ. სლობოდიანიკი.

ვაჟთა გუნდურ რბოლაში გაიმარჯვა ა. ბარანკასმა (ლიტვა), ქალთა შორის კი ლ. სპირიდონოვამ (რსფსრ). რუსეთის ფედერაციის მეორე წარმომადგენელი მ. მიხაილოვა უძლიერესი იყო 15-კილომეტრიან დისტანციაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნება სპორტის მუზეუმი!

მალე ქუთაისსაც ექნება სპორტის მუზეუმი. ახლა ფალიაშვილის ქუჩაზე მიმდინარეობს სამშენებლო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები. მუზეუმი ორდარბაზიანი იქნება.

სამუზეუმო ექსპონატები, რომელთა რაოდენობამ უკვე 11 ათასს გადაამეტა, 21-ე პროფტექნიკური სასწავლებლის პედაგოგმა ზურაბ ჯავახაძემ შეაგროვა.

ყოფილ სპორტსმენს (ზურაბი უწინ ქუთაისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდში თამაშობდა) ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, როცა იგი ქუთაისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში მუშაობდა, დაებადა აზრი ამ მუზეუმთან ცალკე შეექმნა სპორტსმენთა კუთხე და საინტერესო ექსპონატებს მოუყარა თავი.

თავდაპირველად სურვილი სხვადასხვა მიზეზის გამო არ განხორციელდა, მაგრამ ენთუზიასტი არ დამცხრალა, — გატაცებით აგროვებდა საქართველოსა და, კერძოდ, ქუთაისის სპორტული ცხოვრების ამსახველ მასალებს — ფოტოსურათებს, აფიშებს, პრესაში გამოქვეყნებულ წერილებს...

დადგა დრო — ახდა ზურაბის ოცნება. მის წამოწყებას მხარი დაუჭირა ქალაქის ხელმძღვანელობამ და, ერთი სიტყვით, საქმე ადგილიდან დაიძრა.

... ერთ დღეს ზურაბმა თავისი გადაწყვეტილება წარსულში სახელმოხვეჭილ მოჭიდავეს, ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონს შალვა ჩიხლაძეს გაანდო. ქუთაისის მკვიდრმა ახალგაზრდა ენთუზიასტს დახმარება აღუთქვა და მალე სიტყვა საქმედ აქცია — სამუზეუმო ექსპონატებს შეემატა შ. ჩიხლაძის მიერ 1952 წელს ოლიმპიურ თამაშებში მოპოვებული ვერცხლის მედალი, სპორტულ ასპარეზზე მოპოვებული სხვა ნადავლი, რაც სულ 200-მდე სამუზეუმო ექსპონატს შეადგენს.

მრავალი მათგანი, რაც მალე ქუთაისის მუზეუმს დაამშვენებს, უნიკალურია და დიდ ინტერესს იწვევს. მაგალითად, 1912 წელს პრაღაში ჩატარებული ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატის ამსახველი მასალები. ამ ასპარეზობაში ქართველი ტანმოვარჯიშე, შემდეგ სახელგანთქმული მეცნიერი და მთამსვლელი გიორგი ნიკოლაძეც მონაწილეობდა.

ზ. ჯავახაძის ხელთაა ფერადი ფოტოსურათები — ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი, ტანმოვარჯიშეთა მასობრივი გამოსვლები, ჩემპიონატის საზეიმო დახურვა და სხვ. ეს ექსპონატები ენთუზიასტს საქართველოს სსრ დამსახურებულმა მასწავლებელმა ელენე ნაზარიშვილმა გადასცა.

ცნობილია, რომ მეოცე საუკუნის ათიანი წლებიდან ქუთაისში საფუძველი ჩაეყარა ტანვარჯიშს. 1921 წლის 24 ივლისს ქუთაისში ჩატარებულა მოსწავლეთა ტანვარჯიშული გამოსვლები. მოსწავლეებს თვითონ შეუდგენიათ პროგრამა და შემდეგ ქალაქში გაუვრცელებიათ. ამ პროგრამის ერთი ნიმუში მომავალ მუზეუმსაც ექნება.

არის კიდევ ორი უნიკალური ფოტოსურათი, რომლებზეც გამოსახულია ლელობურთელთა ასპარეზობა ქუთაისში 1932 წელს.

ზურაბის ამ შესანიშნავი ინიციატივის შესახებ რომ გაიგეს, ქუთაისის ბევრმა მკვიდრმა სპორტსმენმა გადასცა მას თავისი სპორტული ნადავლი. ცნობილი წყალბურთელი გივი ჩიქვანაია ერთხელ მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში შეიყვანეს. წყალბურთის საერთაშორისო ფედერაციამ იგი სპეციალური მედლით დააჯილდოვა. ეს მედალი გივიმ სიამოვნებით დათმო და ზურაბს პირობა მისცა, რომ მუზეუმს გახსნის წინ კიდევ ბევრ ექსპონატს მიუძღვნის.

სხვა ძვირფას ნივთებს შორის ენთუზიასტის ხელთაა ბურთი, რომლითაც სამხრეთ ამერიკაში გათამაშდა კალათბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი. ეს ძვირფასი ექსპონატიც მუზეუმისთვის ინახება.

ზ. საკანდელიძემ მას გადასცა, აგრეთვე, ვიმპელი, რომელზეც გამოსახულია ამერიკის შეერთებული შტატების პროფესიონალ კალათბურთელთა გუნდი. ვიმპელი ზ. საკანდელიძეს, როგორც საუკეთესო მცველს, უსახსოვრეს ამერიკელმა პროფესიონალმა კალათბურთელებმა.

ვინ იცის და ჩამოთვლაც ძნელია იმ ექსპონატებისა, რომელიც ახლა ზ. ჯავახაძის არქივში ინახება. ესენია სურათები მოჭიდავეებისა, რომლებიც ასპარეზზე 1918-28 წლებში გამოდიოდნენ, იმდროინდელი აფიშები, ბილეთები და პროგრამები, ვიმპელები, თასები...

ერთი საინტერესო ფაქტიც: ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა ბესტმა ჩრდილოეთ ირლანდია — სსრ კავშირის მატჩის შემდეგ რევაზ ძოძუაშვილს, როგორც ღირსეულ მეტოქეს, საკუთარი მაისური გადასცა. ზურაბი ეწვია თბილისს და... მრავალ ექსპონატს კიდევ ერთი შეემატა.

სულ მალე ამ საინტერესო მასალებს, რომელსაც ახალგაზრდა პედაგოგი წლობით აგროვებდა, ინტერესით დაათვალიერებენ სპორტის მოყვარულები ქალაქის ახალ მუზეუმში.

ზ. ნიჟარაძე.
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

• • •

სურათზე: ზ. ჯავახაძე ექსპონატებს ახარისხებს.

ფოტო თ. ჯავახაძისა.

საჩხერელი ჩემპიონი

თვითმფრინავი ყველა ბავშვის ოცნებაა. დავაჟკაცებულნი სხვადასხვანაირად ისრულებენ წადილს — ზოგი მართლაც მფრინავობას არჩევს, ზოგი ავიასაინჟინრო დარგზე აგრძელებს სწავლას. სხვები ბედს მცირე ავიაციას უკავშირებენ — ნაირნაირი მოდელების აგებასა და შეჯიბრებებში ცდიან ძალას. ნოდარ გელბახიანიც სწორედ მათ რიცხვს ეკუთვნის.

15 წლისამ პირველად დაამზადა სქემატური მოდელი და მოდინახეს ციხის ქონგურიდან გაუშვა. ნორჩი კონსტრუქტორი პლანერის გამოცდით კმაყოფილი დარჩა და მას შემდეგ ავიასამოდელო სპორტს მტკიცედ დაუკავშირდა.

საჩხერის დოსაამის რაიონულ კომიტეტს 50-ან წლებში მუშაობის ფართოდ გაშლის საშუალება არ ჰქონდა. ნოდარი და მისი ამხანაგები — მ. გურული, ა. იოვაშვილი, შ. შარვაძე, გ. მესხი და სხვები საყვარელ საქმეს მაინც არ ეშვებოდნენ, სადღაც შოულობდნენ საჭირო მასალებს, პრიმიტიული, ზოგჯერ თვითნაკეთი იარაღებით ამზადებდნენ სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავთა მოდელებს.

გამოცდის დღეც დადგა. რუსთავში ტარდებოდა ნორჩ ავიამოდელისტთა რესპუბლიკური ტურნირი, რომელშიც გელბახიანის ხელმძღვანელობით დამზადებულ მოდელებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა. მაშინ საჩხერელებმა პირველი წარმატება იზეიმეს.

რაიონის სამხედრო კომისარიატში განიზრახეს ხელი შეეწყოთ გელბახიანისთვის და ერთ-ერთ საავიაციო სასწავლებელში გაგზავნა შესთავაზეს, მაგრამ დედა, რომლის მეუღლე და უფროსი ვაჟი სამამულო ომში დაეცნენ, წინააღმდეგი იყო. ჭაბუკი დედის ნებას ვერ გადავიდა — ჭიათურაში ამწის მემანქანედ დაიწყო მუშაობა.

წლები გადიოდა. ნოდარს ავიასპორტი არ ავიწყდებოდა და აი, 1967 წელს საჩხერის პიონერთა სახლის ნორჩ ავიამოდელისტთა ხელმძღვანელი გახდა.

სახლის დირექციამ ნიჭიერ აღზრდელს ნაყოფიერი შრომის პირობები შეუქმნა. შედეგმაც არ დააყოვნა. ექვსი თვის შემდეგ თბილისში გამართულ შეჯიბრებაში საჩხერელი ნორჩი ავიამოდელისტების რაკეტების, თვითმფრინავებისა და პლანერის მოდელებმა საერთო აღიარება ჰპოვა. შინ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სიგელებით დაბრუნდნენ.

ამას მოჰყვა ბევრი გამარჯვება ქუთაისისა და ჭიათურის ნორჩ მოდელისტებთან მატჩებში, საპრიზო ადგილები რესპუბლიკურ და საკავშირო ტურნირებში. შარშან რესპუბლიკურ ასპარეზობაში საჩხერელი ბ. სამხარაძის მოდელმა ჩემპიონობა მოიპოვა, ვ. ყიფიანისა და დ. კაპანაძის ნამუშევრებს კი III ადგილები ხვდათ. გუნდმა V ადგილი დაიკავა.

გელბახიანი საკუთარი ტექნიკის სრულყოფისთვისაც ზრუნავდა. სპორტსმენ-მოდელისტთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში, რომელიც თბილისში გაიმართა, მან რეზინისძრავიანი მოდელით იასპარეზა და უმაღლესი შეფასებაც დაიმსახურა, რამაც საქართველოში უძლიერესის სახელი მოუხვეჭა. იგი რესპუბლიკურ ნაკრებში ჩაირიცხა.

ორიოლი. საკავშირო ტურნირი. გელბახიანის მოდელმა პატრონი აქაც ასახელა. ნოდარმა ერთ შეჯიბრებაში ორჯერ შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი და შინ ახალი გეგმებით დაბრუნდა.

ენერგიულ სამზადისში მოახლოვდა ავიამოდელისტთა წლევანდელი ტურნირები: რესპუბლიკური, შემდეგ — საკავშირო. რესპუბლიკურ შეჯიბრებაში საჩხერელი ნორჩი მოდელისტების თვალსაჩინო წარმატებაზე „ლელო“ უკვე წერდა. ახლა დავუმატებთ, რომ საკავშირო ტურნირში საჩხერელი შ. შუბითიძის რაკეტამ ყველაზე მაღლა (396 მეტრზე) აიტანა სასარგებლო ტვირთი. ზ. მაჭარაშვილმა III ადგილი დაიკავა, ა. როდაკის დამზადებულმა მოდელმა — V.

ვალში არც მათი მასწავლებელი დარჩენილა. კიროვოგრადში, სსრ კავშირის 38-ე პირადგუნდურ პირველობაში, გელბახიანის რეზინისძრავიანი მოდელი კვლავ საუკეთესო იყო. მისი ნამუშევარი სტარტზე შვიდჯერ გაფიდა და შვიდჯერვე მაღალი შეფასება დაიმსახურა. საბოლოოდ გელბახიანმა 1260 ქულა დააგროვა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. ასეთივე შედეგები ჰქონდა კიდევ ორ მონაწილეს. ამიტომ მათ შორის ჩემპიონის გამოსავლენად დამატებითი ტური მოეწყო. საჩხერელის მოდელმა აქ თავისი უპირატესობა დაამტკიცა. გელბახიანი საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონი გახდა.

ა. ანასაშვილი.
(ჩვენი კორ.).

საჩხერე.

• • •

სურათზე: ნ. გელბახიანი მის მიერ დამზადებული მოდელით.

ფოტო ავტორისა.

სტარტზე — წვევამდელები

•

კარგი ტრადიცია

•

შარშან კომკავშირის თბილისის კომიტეტმა დოსაამის საქალაქო კომიტეტთან და სამხედრო კომისარიატთან ერთად კარგ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი — წვევამდელთა პირველი სპარტაკიადა გამართა. ამ ღონისძიებამ ახალგაზრდობის დიდი ინტერესი გამოიწვია. ამიტომაც იყო, რომ წლევანდელი სპარტაკიადისთვის მზადება ყველგან ენერგიულად დაიწყო.

წვევამდელთა II საქალაქო სპარტაკიადის საზეიმო გახსნაზე, რომელიც ამას წინათ არმიის სპორტული კლუბის სტადიონზე მოეწყო, მოვიდნენ ომის ვეტერანები, საბჭოთა არმიის ოფიცრები და ჯარისკაცები.

სპარტაკიადის მონაწილეებს მიესალმნენ კომკავშირის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი გ. გაბუნია და საქართველოს სამხედრო კომისარი, გენერალ-მაიორი ვ. მურუსიძე. ითქვა, რომ ჩვენი რესპუბლიკა ბოლო წლებში საბჭოთა არმიას კარგად მომზადებულ კადრებს აწვდის, რისთვისაც საქალაქო და რაიონულ კომისარიატებს ნაწილებიდან ბევრჯერ მიუღიათ მადლობის წერილები.

წვევამდელებს მიესალმა სამამულო ომის ვეტერანი, საბჭოთა კავშირის გმირი, დოსაამის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე გ. შენგელია. წვევამდელებმა ა. ჩუმაკოვმა, შ. კობერიძემ და სხვებმა სამშობლოს ხვალინდელ დამცველთა სახელით პირობა დადეს, რომ არ შეარცხვენენ მამათა სახელს — ღირსეულად ატარებენ საბჭოთა ჯარისკაცის წოდებას.

სპარტაკიადის ალმის აღმართვა მიენდოთ საბჭოთა კავშირის გმირს გ. შენგელიას, სოციალისტური შრომის გმირს შ. ფირცხალავას, ელმავალმშენებელი ქარხნის ბრიგადირს დ. დემეტრაშვილს. წვევამდელთა და საბჭოთა არმიელთა პარადის შემდეგ გაიმართა საჩვენებელი სპორტული შეხვედრები. საინტერესო იყო ავიამოდელისტთა საჰაერო ბრძოლები, მოტომრბოლელთა ტურნირი, საბრძოლო გაშლა, საზღვრის დამრღვევთა დაჭერა.

გაიმართა შეჯიბრებები ცურვაში, მძლეოსნობაში, ტყვიის სროლასა და სპორტის სხვა სახეობებში. „დინამოს“ საჩოგბურთო მოედნებზე მოეწყო სამედიცინო პოსტების ასპარეზობა და სხვ.

დოდო გელაშვილი.

ნაყოფი თვალსაჩინოა

ამას წინათ მახარაძეში გაიმართა ფიზკულტურელთა რაიონული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბოლო სესიის გადაწყვეტილებათა ფონზე რაიონში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი.

მოხსენებით გამოვიდა ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ო. კიშინსკი.

მან აღნიშნა, რომ რაიონის 127 ფიზკულტურულ კოლექტივში 21 ათასზე მეტი ფიზკულტურელია გაერთიანებული. ყოველწლიურად ეწყობა სასკოლო, საკოლმეურნეო, საწარმო-დაწესებულებებისა და რაიონული სპარტაკიადები, სახელობითი თასების გათამაშებანი სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ყოველივე ამან სათანადო ნაყოფიც გამოიღო: რაიონის ორგანიზაციები გადაჭარბებით ასრულებენ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმებს. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ნატანების, ცხემლისხიდის, ლაშეს, ზვანის საკოლმეურნეო, ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის, აბრეშუმის ფაბრიკის, მალაროთა სამმართველოს, ჩაის მრეწველობის ტექნიკუმის, ქალაქის მე-2 და მე-3, ცხემლისხიდის, შემოქმედის, ბავზუს საშუალო, ციხისძირისა და თხინვალის 8-წლიანი სკოლების კოლექტივები.

აქტივმა ყურადღება გაამახვილა რაიონში სპორტული ბაზების მშენებლობის საკითხზე. აღინიშნა, რომ გაჭიანურდა ზადიდის, ზახის, მელექედურის, მიზღვრის, ბავზურის და მზიანის ბაზების აგება. სუსტად მუშაობენ ამ სოფლების ფიზკულტურული კოლექტივები.

კამათში მონაწილეობდნენ ბავზუს საშუალო სკოლის დირექტორი გ. ხავთასი, „კოლმეურნის“ რაისაბჭოს ინსტრუქტორი გ. ლომაძე, ძალოსანთა მწვრთნელი ვ. შავიშვილი, ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი კ. ხმელიძე, მახარაძის მე-3 საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი ვ. ვადაჭკორია და სხვ.

აქტივის კრებამ მიიღო სათანადო დადგენილება.

შემდეგ ნატანების კოლმეურნეობის ფიზკულტურელთა რაიონის პროფკავშირთა სპარტაკიადაში გამარჯვებისათვის გადაეცათ გარდამავალი თასი.

შ. კილურაძე.
(ჩვენი კორ.).

მახარაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი

თბილისი. სპორტის სასახლე. 8 ოქტომბერი.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი) 17:19 (8:10).

თბილისი: აბაიშვილი, ბერიაშვილი (გაიტანა 8 გოლი), ექსეულიძე (3), ცერცვაძე (3), ფხაკაძე (1), ბუნაძე (1), ლაზარიდისი (1), ხინჩიკაშვილი, სხიერელი, დვალიშვილი, ფხალაძე, ხუციშვილი.

კრასნოდარი: კროხინი, შიიანი (8), გასი (6), მაქსიმოვი (2), პანოვი (2), ბარიშევი (1), ნაკონეჩნი, გრინბერგი.

მსაჯები — ა. კნიშევი (მოსკოვი) და ე. ფაიბუსოვიჩი (ხარკოვი).

ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ შარშანდელ ჩემპიონთან — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელთა გუნდთან ლამაზი გამარჯვების შემდეგ თბილისელები მორიგ მეტოქეებთან — კრასნოდარელ თანაკლუბელებთან ასე ცუდად ითამაშებდნენ. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენებმა განვლილი მძიმე მატჩის შემდეგ ფიზიკური ძალა ვერ აღიდგინეს. ამ მხრივ ისინი კრასნოდარელებთან შეხვედრაშიც კარგად გამოიყურებოდნენ. ოღონდ, ნერვული ზღუდე ვერ გადალახეს — შიშობდნენ, ღელავდნენ. ყველაზე მეტად თბილისელები ალბათ იმან დიაბნია, რომ სტუმრები თავიდანვე დაწინაურდნენ (5:1).

შეხვედრის მანძილზე ხშირი იყო მომენტები, როცა თითქოს გარდატეხის წუთში უნდა დამდგარიყო, მაგრამ მასპინძლები სწორედ მაშინ მოქმედებდნენ გაუბედავად. მარტო პირველ ტაიმში თბილისელებმა რვაჯერ დაკარგეს კარის აღების აშკარა შესაძლებლობა. ამას კი ისეთი გუნდი, როგორიც კრასნოდარის „ბურევესტნიკია“, არ გაპატიებს.

კრასნოდარელებთან თამაში მეტად ძნელია — ისინი ხშირად მიმართავენ ძალისმიერ აკრძალულ ილეთებს (მართალია, ამისთვის ხშირადაც ისჯებიან), მაგრამ უწინ გამართულ მატჩებში ჩვენები ალღოს უღებდნენ მეტოქეს და საწადელსაც აღწევდნენ. ამჯერად კი პირიქით მოხდა: კრასნოდარელთა უხეშობა მასპინძლებმა ერთ ხანს ითმინეს, შემდეგ კი თავადაც მათ აჰყვნენ. ჩვენების თამაშს გარკვეული დაღი ამანაც დაასვა.

ერთი სიტყვით, თბილისელებმა ნერვებს ლაგამი ვერ მოსდეს და დამარცხდნენ. კარგი გაკვეთილია! ვფიქრობთ, მას გუნდის ყველა წევრი გაითვალისწინებს. ახლა, როცა წლევანდელი გუნდი თითქოს ისევ დაემგვანა ძველ, სახელოვან კოლექტივს, საჭიროა ზრუნვა ყოველი, თუნდაც პატარა ხარვეზის აღმოფხვრისთვის. გვჯერა, რომ თბილისელთა გუნდს კვლავ ძალუძს საპატიო ადგილი დაიკავოს საბჭოთა კავშირის უძლიერეს კოლექტივებს შორის. ამის საწინდარი ის გახლავთ, რომ ვეტერანებს მხარში ამოუდგა რამდენიმე ახალგაზრდა, საიმედო მოთამაშე.

ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ახალგაზრდა წევრის გ. ბერიაშვილის შესახებ მოსკოვის ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო ძალების აკადემიის ფიზაღზრდის კათედრის მასწავლებელმა ა. რატიანიძემ (იგი გახლდათ 1962 წლის ნიმუშის „ბურევესტნიკის“ — სსრ კავშირის პირველი ჩემპიონი გუნდის მეკარე) გვითხრა: „ბერიაშვილი სწორედ ისეთი მოთამაშეა, როგორიც უკვე რამდენიმე წელია აღარ ჰყავდა თბილისის „ბურევესტნიკს“. ცხადია, როცა ამას ამბობდა, რატიანიძე გამთამაშებელს გულისხმობდა. ისიც ცხადია, რომ ბერიაშვილს კიდევ ბევრი მუშაობა დასჭირდება, რათა გუნდის დიდი დანაკლისი შეავსოს. იგივე მოეთხოვებათ სხვა ახალგაზრდა ხელბურთელებსაც.

დაბოლოს, კრასნოდარელებთან მარცხმა თბილისელებს საპრიზო ადგილისთვის ბრძოლა კიდევ უფრო გაურთულა, მაგრამ საწადელის მიღწევისთვის ჯერ კიდევ არის თეორიული და პრაქტიკული შანსიც. საჭიროა მხოლოდ ძალის მოკრება.

„ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე) — „ბურევესტნიკი“ (ზაპოროჟიე) 11:11 (5:5).

„ალუმინსტროი“: ცაპენკო, ივანოვი (5), შაპირო (4), პოპადჩუკი (2), ზელენოვი, გორიაჩიხი, რეზნიკოვი, პროვორნიკოვი, გავროვი, ნევინსკი.

„ბურევესტნიკი“: იშჩენკო, ტიშჩენკო (4), პავლენკო (2), არტამონოვი (2), შკარლატი (2), პოლონსკი (1), ლაგუტინი, ჩურსინი, რეზანოვი, შულგა, გორელიკი.

მსაჯები — ზ. ჰეიშვილი და ვ. შვაგირევი (ორივე — ლენინგრადი).

„კუნცევო“ (მოსკოვი) — ცსკა 36:24 (17:16).

„კუნცევო“: სარანცევი, აფანასიევი (5), მოროზოვი (5), მიხალიოვი (5), ჩიკალაევი (5), მაზური (4), შაიუკი (4), სოლომკო (3), ლებედევი (2), ვასილიევი (2), შევჩენკო (1), სემიონოვი.

ცსკა: ვილიუმსონი, კლიონოვი (7), ლუცენკო (5), გულბისი (3), გრიშკიავიჩუსი (2), პატრინი (2), აქსიონოვი (2), დანილინი (1), სტოლიაროვი (1), ბოროდა (1).

მსაჯები — ა. ვიტოლსი (რიგა) და ი. კიზილიუსი (ვილნიუსი).

მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — „პოლიტექნიკი“ (მინსკი) 30:17 (16:9).

საავიაციო ინსტიტუტი: სეგალი, მახორინი (10), კოჟუხოვი (7), კლიმოვი (3), ჟურავლიოვი (3), ოგანეზოვი (3), რუსაკოვი (1), ზოტოვი (1), ეფიმოვი (1), ილინი (1), გასიევი, სიჩოვი.

„პოლიტექნიკი“: ბოიკო, გრეჩინი (6), კუიავსკი (4), ჩერკასკი (2), ლახნენკო (1), ჟადანი (1), მირონოვიჩი (1), ვოლჩაკი (1), გუხკო (1), პისკუნოვი, კიანი, კრაინევი.

მსაჯები — თ. ჩხარტიშვილი (თბილისი) და გ. გუტერმანი (ვილნიუსი).

ჯ. ენუქიძე.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი) 17:19.

„ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე)—„ბურევესტნიკი“ (ზაპოროჟიე) 11:11.

„კუნცევო“ (მოსკოვი) — ცსკა 36:24.

მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი—„პოლიტექნიკი“ (მინსკი) 30:17.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კუნცევო“ (მოსკოვი)	23	21	0	2	550—418	42
საავიაციო ინსტ. (მოსკოვი)	23	17	3	3	572—445	37
„ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე)	23	13	4	6	432—397	30
„ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი)	23	13	3	7	515—473	29
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	23	11	4	8	471—465	26
„ბურევესტნიკი“ (ზაპოროჟიე)	23	8	3	12	415—418	19
„პოლიტექნიკი“ (მინსკი)	23	9	1	13	507—547	19
ცსკა	23	7	1	15	433—511	15

კედელი (თბილისის „ბურევესტნიკისა“ და მინსკის „პოლიტექნიკის“ შეხვედრის მომენტი).

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

ფეხბურთი 69

სსრ კავშირის პირველობა

კლასი
II ჯგუფი

IV ქვეჯგუფი

0 : 4

ფერგანა, 7 ოქტომბერი. ადგილობრივი „ნეფტიანიკი“ ბოლო შეხვედრებში ამიერკავკასიის გუნდების რისხვად იქცა. გუნდი, რომელსაც 35 თამაშიდან ამდენივე ქულა ჰქონდა (ბურთების საკმაოდ ცუდი სხვაობით: 33—44), ერთბაშად გარდაიქმნა: 2 ოქტომბრის მატჩში კიროვაბადის „დინამო“ დაამარცხა, გუშინ კი გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი — თბილისის „ლოკომოტივი“.

რკინიგზელებმა თამაში მონდომებით დაიწყეს. მაგრამ მასპინძლება ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ და მალე შეანელეს ტემპი. ამით კარგად ისარგებლეს აგრესიულად განწყობილმა მასპინძლებმა და დიდი ანგარიშით გამარჯვება იზეიმეს — 4:0.

წლევანდელ გათამაშებაში ეს იყო თბილისის „ლოკომოტივის“ ყველაზე უფერული მატჩი.

ისევ ფრე

კისლოვოდსკი, 7 ოქტომბერი. ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების მეორე ფინალურმა მატჩმაც ვერ გამოავლინა ჩვენში ფიზკულტურის კოლექტივთა შორის უძლიერესი გუნდი: ძვირფასი ჯილდოს მაძიებლების — თბილისის „სინათლისა“ და მოსკოვის „სტრელას“ 120-წუთიანი ბრძოლა ამჯერადაც ფრედ დამთავრდა, თუმცა ეს არ იყო უფერული ორთაბრძოლა — საგოლე მომენტები ორივე გუნდის კართან იქმნებოდა და, თუ ანგარიში არ გახსნილა, ამაში მცველები და მეკარეები არიან „დამნაშავე“.

დღეს მეტოქენი დაისვენებენ, ხვალ კი ისევ გამოვლენ მინდორზე.

ბოლო ტურის წინ

ნოვაია კახოვკა, 7 ოქტომბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს აქ გაიმართება რეგბიში სსრ კავშირის ჩემპიონატის ბოლო ტური, რომელიც ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელთა ვინაობას გაარკვევს. რაც შეეხება ოქროს მედლებს, თითქმის 30-წლიანი შესვენების შემდეგ მას მიიღებენ მოსკოველი სპორტსმენები. უმაღლესი ჯილდო ამ სახეობაში პირველად 1938 წელს გათამაშდა და იგი მოსკოვის „დინამოს“ ხვდა. წლეულს კი ჩემპიონის წოდება შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდა ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო ძალების აკადემიის კოლექტივმა, რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა.

აღსანიშნავია ამ გუნდის თავდადებული თამაში. კოლექტივის წარმატებაში ყველაზე დიდი წვლილი მაინც მის კაპიტანს, 28 წლის ა. გრიგორიანცს მიუძღვის, რომელმაც კვირას მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტთან გამართულ მატჩში გუნდს 9 ქულა მოუპოვა. ფინალურ შეხვედრებში მან ჩემპიონატის სნაიპერის სახელი მოიხვეჭა — ყველაზე მეტი ქულა (47) დააგროვა.

ვისა აქვს II და III ადგილებზე გასვლის შანსები? მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის, „სპარტაკისა“ და „ფილის“ (მათ კვირას ერთმანეთში ფრედ — 9:9—ითამაშეს) გუნდებს, რომელთაც ბოლო ტურის წინ 7-7 ქულა დაუგროვდათ. ამ შანსს ინარჩუნებს თბილისის „ლოკომოტივიც“, რომელსაც სადღეისოდ 5 ქულა აქვს (ამდენივე ქულითაა მოსკოვის „დინამო“). ერთი სიტყვით, ყველაფერი ბოლო შეხვედრების შედეგებზეა დამოკიდებული.

გადამწყვეტი მატჩების წინ კიევის დინამოელებს 3 ქულა აქვთ, ხოლო ვილნიუსის „გიალიაჟინას ვილკასს“ — 2. ეს 2 ქულა ვილნიუსელებმა თბილისელებთან შეხვედრაში მოიპოვეს.

მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლაში

[illegible]

თურქებს გამარჯვება სწყურიათ

აპრილის ბოლოს, თურქეთის ფეხბურთელთა ნაკრებისა და პოლონეთის გუნდის შეხვედრის წინ, სტამბოლის გაზეთი „ჯუმხურიეთი“ გამოვიდა დიდი ანშლაგით — „ვინდა დავივიწყოთ სამარცხვინო დამარცხება ანგარიშით 0:8“.

ასე დამთავრდა ამ გუნდების წინა შეხვედრა, რომელიც პოლონელებმა მოიგეს ხოჟუვში 1968 წლის 24 აპრილს.

მას შემდეგ „აი-ილდიზლიმ“ („მთვარე-ვარსკვლავები“, როგორც თურქეთში ეძახიან ეროვნულ ნაკრებს მისი ემბლემის — ვარსკვლავისა და ნახევარმთვარის გამო) კიდევ რამდენიმე მწარე მარცხი იწვნია. თურქი ჟურნალისტები წერდნენ, რომ მათს ნაკრებს „შავი ღრუბლები“ დაატყდა თავს. მაგრამ ბოლო ხანებში პრესის ტონი შეიცვალა. ახლა ნაკრების მომხრეებს მიაჩნიათ, რომ გუნდის ცისკიდურზე „ვარდისფერი აისი აკიაფდა“.

სსრ კავშირის ნაკრებთან ორი მომავალი შეხვედრისთვის მზადების პერიოდში თურქებმა წარმატებით ჩაატარეს სამი საკონტროლო თამაში. მათ მოუგეს პაკისტანის (4:2), ირანის (4:0) და სულ ახლახან, 24 სექტემბერს — შვეიცარიის ნაკრების ფეხბურთელებს (3:0).

რას ფიქრობენ თურქები იმ შეხვედრაზე, რომელიც 15 ოქტომბერს უნდა გამართონ სსრ კავშირის ნაკრებთან კიევის ცენტრალურ სტადიონზე? უნდა ჰქონდეთ თუ არა მათ მეხიკოს საგზურების იმედი? მოვაგონებთ, რა მდგომარეობაა ფეხბურთელთა IX მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრებების IV ევროპულ ჯგუფში.

აქ ფინალური ტურნირის საგზურისთვის ბრძოლაში კენჭისყრამ ერთად მოუყარა თავი სსრ კავშირის, ჩრდილოეთ ირლანდიისა და თურქეთის გუნდებს. უკვე ჩატარდა ექვსიდან სამი მატჩი. ირლანდიელებმა ორჯერ დაამარცხეს თურქები (4:1 და 3:0), შემდეგ კი ბელფასტში სსრ კავშირთან შეხვედრა ფრედ დაამთავრეს (0:0) და ახლა უკვე 5 ქულა აქვთ. თურქებმა ორივე შეხვედრა რომ მოუგონ საბჭოთა ნაკრებს და 4 ქულა დააგროვონ, მექსიკაში მაინც ვერ მოხვდებიან. ოქროს ქალღმერთის თასის ფინალურ ტურნირში გასვლისთვის ბრძოლა შეიძლება მხოლოდ სსრ კავშირისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდებს შორის გაჩაღდეს.

მაშ რატომ ემზადება თურქეთის ნაკრები ასე შეუპოვრად კიევის მატჩისა და ანკარაში საპასუხო შეხვედრისთვის, რომელიც 16 ნოემბრისთვისაა დანიშნული? იმიტომ, რომ „სამარცხვინო დამარცხების“ კვალი ჩამოირეცხოს.

თურქეთის ფეხბურთის ფედერაციასა და გუნდის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვთ კვლავ აღწიონ „მთვარე-ვარსკვლავების“ პრესტიჟი, განამტკიცონ მისი რეპუტაცია საერთაშორისო სარბიელზე.

წლევანდელი წლის დასაწყისში თურქეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ორხან შერეფ აპაქმა გამოაცხადა, რომ ნაკრების ხელმძღვანელობასა და შემადგენლობაში ძირეული ცვლილებები მოხდა. მწვრთნელი ა. სუვარი შეცვალა ესკიშეხირის პროვინციული გუნდის ხელმძღვანელმა გეგიჩმა. ბოლო მოეღო ნაკრებში პოპულარული გუნდების „გალათასარაის“, „ფენერბახჩეს“, „ბეშიქთაშის“ მონოპოლიას. გუნდში მოწვეულია ათი სხვადასხვა კლუბის 20-ზე მეტი მოთამაშე, მათ შორის, „ესკიშეხირსპორის“ ექვსი ფეხბურთელი, რომელსაც ადრე გეგიჩი წვრთნიდა. ესენი არიან მეკარე მუმინი, მცველი ნეჯდეი, ნახევარმცველები ისმაილი და კიამურანი, თავდამსხმელები ენდერი და ნიხატი.

თურქებთან ოფიციალური შეხვედრები არასოდეს არ იყო იოლი საბჭოთა ფეხბურთელებისთვის. მართალია, ჩილის გზაზე (VII მსოფლიო ჩემპიონატი) სსრ კავშირის ნაკრებმა ორჯერ მოუგო თურქეთის გუნდს, მაგრამ უპირატესობა მინიმალური იყო (2:1, 1:0). 1966 წელს საბჭოთა ფეხბურთელები მოსკოვში დამარცხდნენ (0:2) გუნდთან, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ სახელგანთქმული მეკარე თურგაი, მეტინი, ილმაზი, ფარუკი და სხვა გამოცდილი თურქი ოსტატები.

ობიექტურად რომ ვთქვათ, „მთვარე-ვარსკვლავებში“ ბოლო ორი წლის მანძილზე რაიმე მნიშვნელოვანი წინსვლა არ მომხდარა. ვერც საკლუბო გუნდები დაიტრაბახებდნენ დიდი გამარჯვებებით. გამონაკლისია მხოლოდ „ფენერბახჩე“, რომელმაც შარშან სენსაციური გამარჯვება მოიპოვა „მანჩესტერ-სიტის“ გუნდთან (2:1). და მაინც, უცხოელი მიმომხილველები აღნიშნავენ თურქი ფეხბურთელების მთელ რიგ ძლიერ მხარეებს. თურქებს უყვართ და შეუძლიათ იერიში, კარგად იყენებენ გარღვევებს ცენტრში და ფლანგებზე უსწრაფეს გასვლას ისინი ენერგიულად და ტემპერამენტით იბრძვიან ბურთისთვის, არ ეშინიათ მეტოქეთა კარზე იერიშის მიტანისა სხვადასხვა პოზიციიდან.

მიუხედავად ამისა, ბოლო მატჩებმა გვიჩვენა, რომ თურქ ფეხბურთელებს 90-წუთიანი დაძაბული ბრძოლისთვის არ ჰყოფნით ფიზიკური მომზადება და ფსიქოლოგიური გამძლეობა. მარცხსა და მსაჯის მათი აზრით უსწორო გადაწყვეტილებას ისინი წონასწორობიდან გამოჰყავს. ამ მატჩებში დაცვაში გადასვლა მდგომარეობას არ შველოდა, რადგან მცველები ტაქტიკურად პრიმიტიულად თამაშობდნენ, მეკარე თურგაის კი ღირსეული ცვლა არ ჰყავდა.

შემთხვევითი როდია, რომ ბოლო მატჩების სერიაში მწვრთნელმა გეგიჩმა გოლკიპერის პოსტზე გასინჯა ალი „ფენერბახჩედან“, ნიხატი „გალათასარაიდან“, საბრი „ბეშიქთაშიდან“ და მუმინი „ესკიშეხირსპორიდან“.

თუ ნაკრების დაცვის ხაზს ჯერ კიდევ შემორჩნენ ვეტერანები, თავდასხმა 200 პროცენტით შეიცვალა. ბოლო ხუთ-ექვს მატჩში გუნდის ნახევარდაცვასა და თავდასხმაში ორ ათეულზე მეტი სხვადასხვა ფეხბურთელი თამაშობდა.

ვისზე შეაჩერებს არჩევანს მწვრთნელი კიევის მატჩისთვის? ჩვეულებრივ, თურქი მიმომხილველები ფეხბურთელებს ცხრაბალიანი სისტემით უწერენ „ნიშნებს“. ამ სისტემის გამოყენებით შეიძლება ზოგიერთი რამ ჩვენც ვივარაუდოთ.

შედარებით მაღალი შეფასება (6-7 ქულა) მიიღეს, მაგალითად, ოგიუნმა, რომელმაც ბელფასტში ანგარიში გახსნა, მეტინ-უმცროსმა (სახელგანთქმული ო. მეტინის მოგვარე), გამოცდილმა ნახევარმცველებმა ერგიუნმა და მუზაფერმა „გალათასარაიდან“, მათმა კოლეგამ კიამურანმა, თავდამსხმელებმა ნიხატმა, ენდერმა, ისმაილმა „ესკიშეხირსპორიდან“. შეიძლება გავიხსენოთ ბომბარდირებიც, რომლებმაც თავი გამოიჩინეს განვლილ სეზონში. ესენი არიან სანლი და ფარუკი „ბეშიქთაშიდან“, ოსმანი „მერსინიდან“, ბურხანი „გენჩლერბირლიგიდან“, მესუტი „ბურსასპორიდან“.

მაგრამ, მოდით, ნუ ვიმარჩიელებთ. მით უმეტეს, რომ მოთამაშის საბრძოლო თვისებები და ფორმა სულაც არ არის მუდმივი. სსრ კავშირის ნაკრები თურქეთის გუნდს ხვდება ხანგრძლივი, დამქანცველი სეზონის მიწურულს, თურქეთის ჩემპიონატმა კი სექტემბერში აიღო სტარტი. ესე იგი, ჩვენი სტუმრები სარბიელზე ჯერ კიდევ დაუხარჯავი ძალებით გამოვლენ.

მ. ზასლავსკი.

22 დასახელებულია

მოსკოვი, 7 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ ფიფა-ს გაუგზავნა სია იმ 22 ფეხბურთელისა, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ თურქეთის ნაკრებთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში. როგორც ცნობილია, ეს თამაში 15 ოქტომბერს გაიმართება კიევში.

განაცხადში შევიდნენ: **მეკარეები** — ე. რუდაკოვი („დინამო“, კიევი), ა. კავაზაშვილი („სპარტაკი“, მოსკოვი), ა. ტკაჩენკო („ზარია“, ლუგანსკი); **მცველები** — რ. ძოძუაშვილი („დინამო“, თბილისი), ე. ლოვჩევი, გ. ლოგოფეტი (ორივე — „სპარტაკი“, მოსკოვი), ვ. აფონინი, ა. შესტერნიოვი, ვ. კაპლიჩნი (ყველა — ცსკა), მ. ხურცილავა („დინამო“, თბილისი); **ნახევარმცველები** — ვ. მუნტიანი, ვ. სერებრიანიკოვი (ორივე — „დინამო“, კიევი), ნ. კისელიოვი („სპარტაკი“, მოსკოვი), კ. ასათიანი („დინამო“, თბილისი); **თავდამსხმელები**—ნ. ოსიანინი („სპარტაკი“, მოსკოვი), ა. პუზაჩი, ა. ბიშოვეცი, ვ. ხმელნიცკი (ყველა — „დინამო“, კიევი) გ. ნოდია („დინამო“, თბილისი), ა. ზინჩენკო (ასკ, როსტოვი), მ. გერშკოვიჩი („ტორპედო“, მოსკოვი), გ. ევრიუჟიხინი („დინამო“, მოსკოვი).

დუგანი — გამოუსწორებელი შფოთისთავი

ლონდონი, 7 ოქტომბერი. „ვულვერჰემპტონ უონდერერსის“ ცენტრალური თავდამსხმელი დერეკ დუგანი, რომელიც ამავე დროს ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების მოთამაშეცაა, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის დისციპლინარული კომისიის წინაშე წარსდგა. „ევერტონთან“ ამასწინანდელ მატჩში მსაჯის შეურაცხყოფისთვის იგი მინდვრიდან იქნა გაძევებული. ამ კომისიის გადაწყვეტილებით დუგანი წინა თვეში ორი კვირით უკვე იყო პირობით დისკვალიფიცირებული. ახლა მას უფრო სერიოზული სასჯელი მოელის — ექვს კვირამდე დისკვალიფიკაცია.

მაგრამ, როგორც ინგლისის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტმა ლ. შიპმანმა განაცხადა, დუგანი ნაღდად მიიღებს მონაწილეობას სსრ კავშირისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შესარჩევ მატჩში მსოფლიო პირველობაზე, რომელიც 22 ოქტომბერს გაიმართება მოსკოვში. შიპმანის თქმით, დისციპლინარული კომისია დარჩენილ დროში ვერ მოასწრებს დუგანის დანაშაულის განხილვას. ჩვეულებრივ ამ პროცედურას ორი-სამი კვირა სჭირდებაო, თქვა შიპმანმა.

დუგანის (იგი 31 წლისაა) საფეხბურთო კარიერის მანძილზე მისი მოქმედება უკვე ექვსჯერ განიხილეს დისციპლინარული კომისიის სხდომებზე.

ლიდერობს ტრიუმვირატი

მოსკოვი, 7 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გუშინ სსრ კავშირის ვაჟთა 37-ე საჭადრაკო ჩემპიონატში შედგა გადადებული პარტიების დამთავრება.

პირველი დამარცხება იწვნია ვ. სმისლოვმა. ი. პლატონოვთან მას მძიმე პოზიცია ჰქონდა, მაგრამ მაინც იყო ყაიმის შანსი. ოთხ საათს იბრძოდა სმისლოვი. უზუსტოდ მხოლოდ ცაიტნოტში ითამაშა და 70-ე სვლაზე შეურიგდა წაგებას. მერე პლატონოვი ვ. ლიბერზონსაც ეთამაშა. მოსკოველის უპირატესობა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ პლატონოვი მალე დანებდა.

სამი პარტია დაამთავრა ე. ვასიუკოვმა. მან მოუგო ო. ავერკინს, ხოლო ი. ზაიცევსა და ლიბერზონს ყაიმზე შეუთანხმდა.

ლ. შტეინმა აქტივში მხოლოდ 1 ქულა ჩაიწერა: ყაიმით დაამთავრა შეხვედრები რიგელ დიდოსტატებთან მ. ტალთან და ა. გიპსლისთან.

დიდოსტატურად ითამაშა ს. ფურმანმა ტალთან გადადებულ პარტიაში. მეფისა და ორი ეტლის მოხერხებული მანევრით მან შეძლო უპირატესობის რეალიზება. 72-ე სვლაზე ტალი დანებდა.

ა. ზაიცევმა მოუგო ავერკინს. ი. ბალაშოვი და ი. ზაიცევი ყაიმზე შეთანხმდნენ. სხვა პარტიები არ დამთავრებულა.

20 ტურის შემდეგ ტ. პეტროსიანს, ვ. სმისლოვსა და ლ. პოლუგაევსკის 12-12 ქულა აქვთ, ე. გელერს — 11,5, რ. ხოლმოვსა და ვ. სავონს — 11-11 ქულა და თითო გადადებული პარტია.

• •

ჩვენი კომენტატორი

ტურნირმა აპოგეას მიაღწია: სათამაშო დარჩა მხოლოდ სამი ტური, მაგრამ ჩემპიონის ვინაობა ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული. რა თქმა უნდა, ოქროს მედლის ყველაზე რეალური პრეტენდენტები არიან პეტროსიანი, სმისლოვი, პოლუგაევსკი და გელერი. ყველაფერი დამოკიდებულია ფინიშზე. მაგრამ ძნელია იწინასწარმეტყველო, როგორი იქნება იგი მათთვის: ძნელი მეტოქეები ჰყავთ.

პეტროსიანი უნდა შეხვდეს ჟუხოვიცკის, პოლუგაევსკისა და ი. ზაიცევს; სმისლოვი — კუპრეიჩიკს, ვასიუკოვსა და ბალაშოვს; პოლუგაევსკი — ა. ზაიცევს, პეტროსიანსა და შტეინს, ხოლო გელერი — სავონს, ლუტიკოვსა და პლატონოვს.

პრეტენდენტებიდან ალბათ ყველაზე უარესი ფინიში პოლუგაევსკის ელის. სახიფათო მეტოქეები ჰყავს გელერსაც: სავონსა და პლატონოვს დიდოსტატის ნორმატივის შესრულების შანსი აქვთ.

პეტროსიანისა და სმისლოვის მეტოქეებიც ხელწამოსაკრავი როდი არიან. პეტროსიანი მაინც უკეთეს მდგომარეობაშია: მას არ აწუხებს ფიქრი მოხვდეს პირველ ოთხეულში, რაც საზონათაშორისო ტურნირის საგზურს იძლევა, მაშინ, როცა მოცილეებს ცალი თვალი იქით უნდა ჰქონდეთ, რომ ოთხეულიდან არ ამოვარდნენ.

ფინიშზე ხშირად ხდება სენსაციები. მოულოდნელობისგან არავინაა დაზღვეული. განა მოულოდნელი არ იყო სმისლოვის პირველი წაგება სწორედ მაშინ, როცა მას, თუნდაც ნახევარი ქულა ჰაერივით სჭირდებოდა? მტკიცე ნერვები და თვითრწმენა წარმატების საწინდარია.

თ. გიორგაძე.

კვლავ ყაიმი

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. ა. ანდრეიკო — ი. კუპერმანის მატჩში ასუჯრიან შაშში მსოფლიო პირველობაზე გუშინ II პარტია გათამაშდა.

ანდრეიკომ მეტოქეს თამაშის მისივე გეგმა შესთავაზა, მაგრამ კუპერმანმა სხვა გზა აირჩია და ხელთ იგდო ინიციატივა. მაშინ, როცა საინტერესო თამაში იყო მოსალოდნელი, მეტოქეებმა გაცვლა დაიწყეს. 30-ე სვლაზე ანდრეიკოს წინადადებით პარტია ყაიმით დამთავრდა, თუმცა ბრძოლა კიდევ შეიძლებოდა.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 1:1.

როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო...

2:0

დონის როსტოვი, 7 ოქტომბერი. დღეს აქ, სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგ მატჩში, მოსკოვის „სპარტაკმა“ დაამარცხა ადგილობრივი ასკ — 2:0. ბურთები გაიტანეს ივანჩემა და კალინოვმა.

20^{45}

◆ **ლას ვეგასი,** 7 ოქტომბერი. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მოკრივეთა მატჩს 1200 მაყურებელი დაესწრება — და ყველა მოსაწვევი ბილეთებით. ამ შეხვედრის (აქ გაიმართება 25 ოქტომბერს) ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს არ გაყიდონ ბილეთები. სამაგიეროდ, აშშ-ს ყველა წამყვანი ტელეკომპანია მოახდენს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მოკრივეთა გუნდური მატჩის ტრანსლაციას— ასეთი შეხვედრა ხომ ისტორიაში პირველად ხდება!

◆ **ვენა,** 7 ოქტომბერი. ჭადრაკში მსოფლიო პირველობის კიდევ ერთი ზონალური ტურნირი დაიწყო ავსტრიის დედაქალაქში. 22 მონაწილეს შორის არიან დიდოსტატები მატანოვიჩი და ივკოვი (ორივე — იუგოსლავია), ულმანი (გდრ), პორტიში და ბარცაი (ორივე — უნგრეთი). შეჯიბრება 4 ნოემბრამდე გასტანს.

◆ **ვესელინა მორავე,** 7 ოქტომბერი. ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში მოჭადრაკე ქალთა შორის მსოფლიო პირველობის ზონალურმა ტურნირმა ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი: ლაზარევიჩი და ბელამარიჩი (ორივე — იუგოსლავია), ასენოვა (ბულგარეთი), ჰონფი (უნგრეთი), იუსტი (გდრ), ტეოდორესკუ (რუმინეთი), ერეტოვა და მალიპეტროვა (ორივე — ჩეხოსლოვაკია). საზონათაშორისო შეჯიბრების საგზურთა მფლობელების ვინაობა 31 ოქტომბერს გაირკვევა.

წყნარი ოკეანის თასზე

ვლადივოსტოკი, 6 ოქტომბერი. დაიწყო საპატიო პრიზისთვის — წყნარი ოკეანის თასისთვის ბრძოლის საშემოდგომო ეტაპი. ვლადივოსტოკში ასპარეზობის ორგანიზატორს — საზოგადოება „ვოდნიკს“ ზღვის სივრცეებიდან განუწყვეტლივ მოსდის რადიოგრამები ფეხბურთსა და ფრენბურთში, მძლეოსნობასა და ბადმინტონში, მაგიდის ჩოგბურთში, ძალოსნობაში, ძიუდოში და სხვა სახეობებში შეჯიბრებების შესახებ.

მონაწილეთა რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება. თუ თავიდან შეჯიბრებაში 300 კოლექტივი ჩაება, დღეს წყნარი ოკეანის თასისთვის საბჭოთა და უცხოეთის გემების 700-ზე მეტი ეკიპაჟი იბრძვის. ჯერჯერობით ლიდერთა ჯგუფში არიან შორეული აღმოსავლეთის ზღვაოსნობის თბომავლების — საბჭოთა გემების „ოსტროგოჟსკის“, „ომსკის“, „სლავიანკას“, „მეხანიკ რიბაჩუკის“, „გ. დერჟავინის“, „ჰელიოსის“, იაპონიის „კუნისიმა-მარუს“, იუგოსლავიის „პლუდის“, ბულგარეთის, ესპანეთისა და სხვა გემების სპორტსმენები, რომელთაც წყნარი ოკეანის აუზში აქვთ რეისები.

ასპარეზობის „სარბიელი“ გრანდიოზულია— იგი ათასობით საზღვაო მილზეა გადაჭიმული — არქტიკიდან ტროპიკებამდე. მძიმე დღე ადგათ შორეული აღმოსავლეთის მეზღვაურებს, როცა გემებს შემოდგომის მძვინვარე ქარიშხალი დაატყდება თავს. მაგრამ ვარჯიში და შეჯიბრებები ყოველგვარ ამინდში ტარდება.

წყნარი ოკეანის თასზე შეჯიბრება პირველად იმართება. ამ აუზის მეზღვაურთა წინა ასპარეზობა იმდენად პოპულარული იყო, რომ იაპონიის ზღვის თასის შემდეგ საჭირო გახდა მშვიდობისა და მეგობრობის ახალი პრიზის დაწესება. გამარჯვებულნი საპატიო ჯილდოს მიიღებენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს წინ.

[illegible]

რედაქტორი მ. კაკაბაძე.